



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მამისაშვილი ნოდარ ლევანის ძე



#### ნ. მამისაშვილი

მამისაშვილი ნოდარ ლევანის ძე (15. XII. 1930, თბილისი, – 10. I. 2022, იქვე), კომპოზიტორი, თეორეტიკოსი, პედაგოგი. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967), პროფესორი (1982). 1956 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ა. ბალანჩივაძის საკომპოზიტორო კლასი). 1963-იდან იქვე მუშაობდა საკომპოზიციო კათედრის პედაგოგად, 1973–79 იყო საქართველო კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი, 1990–91 – თავ-რე. 1989-იდან სას. აკადემიაში ასწავლიდა მართლმადიდებლური გალობის ისტორიას, 1995-იდან იყო პოლსტუდია „თეთრი კვადრატის“ პრეზიდენტი, 1996-იდან – ბგერითი ეკოლოგიის ცენტრის მთ. კოორდინატორი. არის გამოგონებების ავტორი. შექმნა 9 საეკლ. ბარის რეზონანსული განაწილების აკუსტიკური სქემა, რ-ის მიხედვითაც მოხდა თბილ. სამების ტაძრის სამრეკლოში ბარების განაწილება. ქართული გალობის ჰარმონიიდან მან გამოყო ძირითადი ფუძე-ტონები და გადაიტანა 9 ბარის ხმოვანებაში, ასევე განახორციელა ბარების დიფერენციაცია ფუნქციების მიხედვით, შექმნა მუსიკა სამების ბარებისთვის, რ-იც მხოლოდ ამ ტაძარში სრულდება. მ-ს ეკუთვნის საბავშვო ოპერა „ბაქია ბაჭია“, ბალეტი „სამი გასაღები“, ექვსი სიმფონია, ხუთი საფორტეპიანო კონცერტი და სხვადასხვა ჟანრის მუს. ნაწარმოებები. მუსიკალურად გააფორმა რადიოდამგმები, სპექტაკლები: ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (რუსთაველის თეატრი), გ. ნახუცრიძის „ჭინჭრაქა“ (მოზარდ მაყურებელთა თეატრი), შვერმბერგერის „ნანა ტყეში“ (თოჯინების ქართული თეატრი), აგრეთვე მხატვრული ფილმები: „ფერისცვალება“ (რეჟ. ლ. ლოლობერიძე, 1968), „დიდებები და შვილიშვილები“ (რეჟ. ნ. მჭედლიძე, 1969), „ვი, მაესტრო!“ (რეჟ. ნ. მანაგაძე, 1987); ნაყოფიერად

თანამშრომლობდა კინორეჟისორ მ. კოკოჩაშვილთან („მიხა“, 1965; „დიდი მწვანე ველი“, 1967; „ნუცას სკოლა“, 2000; „უსუი“, 2005; დოკუმენტური ფილმები: „გზა“, 1983; „ფენომენი“, 1992; „ქართველი მამლუქები ეგვიპტეში“, 2007); შექმნა მუსიკა ანიმაციური ფილმებისთვის: „ონავარი“ (1965, რეჟ. კ. სულაკაური), „ქვასანაყი“ (1976, რეჟ. ბ. შოშიტაიშვილი), „კერკეტი კაკალი“ (1987, რეჟ. თ. ანდრონიკაშვილი) და სხვ. მ. ავტორია სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. „სამფაზიანი კომპოზიციის მუსიკალური სისტემა“ (1978) და სხვ.

დაკრძალულია მწერალთა და საბ. მოღვაწეთა მახათას მთის პანთეონში.

ლიტ.: დ ე კ ა ნ თ ი ძ ე ა., რა კი არა, როგორ, „მუსიკა“, 2018, №3 (36);  
ტ ო რ ა ძ ე გ., ნოდარ მამისაშვილი, წგ.: მუსიკის სამყაროში, თბ., 2010;  
М г е б р и ш в и л и К., Малиновый звон, „Русский клуб“, 2022, №11.

**რ. ქუთათელაძე**

**მ. ჯაფარიძე**

---